სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/215

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2023 წ.

დადგენილება №01-05-04/215

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტისა და 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციის, არჩევნების შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად 2023 წლის 25 დეკემბრის აკადემიურ საბჭოში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს კარლო კოპალიანი და მისი უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს 2024 წლის 20 იანვრიდან;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) წარედგინოს კარლო კოპალიანის კანდიდატურა დასამტკიცებლად.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**